საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3537/01
02/04/2020

3537-01-2-202004021633

შპს „ფოთი ფაუნდრის“
მის: ქ. ფოთი, მალთაყვის სანაპირო N7

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 17 მარტის N4680 წერილი, რომელიც ეხება ქ. ფოთში, შპს ,,ფოთი ფაუნდრის“ მეორადი ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოების ქარხნის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სამინისტროს შენიშვნების შესაბამისად გადამუშავებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

როგორც სამინისტროს 2020 წლის 12 თებერვლის N 1631/01 წერილით გეცნობათ სამინისტროში დამატებით უნდა წარმოგედგინათ საწარმოში დასამუშავებელად მიღებული ნარჩენების კოდები და დასახელებები „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხისა და კლასიფიკაციის“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად; ასევე დასამუშავებელი ნარჩენების აღდგენისა და განთავსების ოპერაციების კოდები და მათი აღწერილობა ნარჩენების მართვის კოდექსის I და II დანართის შესაბამისად. გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ გადამუშავებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის და საჭიროებს დაზუსტებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. გთხოვთ, 1 თვის ვადაში უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სამინისტროში, რის შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044